# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 133 ხუთშაბათი, 18 ივნისი 1909 წ. № 133

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქცია დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს შეამოკლებს. ზავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები. მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოდღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ზღვა ხზავგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.**

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


კვირას, 21 ივნისს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მეორე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ დეპუტატის

## არჩილ ლევანის ძე ჯაფარიძის

გარდაცვალებიდან ნახევარი წლის თავზე, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს განსვენებულის მეუღლე **იულია ნიკოლოზის ასული და მშობლები.** პანაშვიდი დაიწყება **შუადღის 12 საათზე.** (3—2)


## ლეჩხუმი სოფ. ლაშხეთი

ქუთაისის მეორე გილდის ვაჭარი ანტონ გ. მანაგაძე და ამხანაგობა ამით აუწყებენ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მათ აიღეს იჯარით უგანათლებულეს თავად მინგრელსკის მამულში

## ლაშხეთის მადნეულის აბანოები,

სადაც არის სასმელი მჟავე წყლები

და რკინეულის საბანეველი წყლები,

რომლებიც მეცნიერებისაგან შემოწმებულია როგორც **უებარი წამალი კუჭის ტკივილისა, სისხლის ნაკლებობისა და ქარებისა.**

ქუთაისიდან არის რაჭა-ლეჩხუმის სამხედრო შარა გზა, რომელზედაც მუდამ დღე დადიან ეტლები, ლინეიკები, დილიჟნები და ტროიკები ს. ორბელამდე, საიდანაც ლაშხეთამდე 28 ვერსია ცხენით სავლელი. აბანოზე იშოვება რიგიანი ბინები, საბანებელი სახლი ვანით. ფასები ზომიერია. აქაური მჟავე წყლები მსურველებს შეუძლიანთ მიიღონ ქუთაისში ჩვენ ღვინის საწყობში, მიხაილოვის ქუჩა.

(2—კვ.—2) პატივისცემით **ა. მანაგაძე და ამხანაგობა.**

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. **ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მ. დ. **ლომბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ნ. ა. **პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. **მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

გ. ხ. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი.**

ა. გ. **მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. **ქიქინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—87)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 90)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—.. ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ალექსანდრის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (ს—ახს—172)

## გამგეობა

**ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა,**

ამით აცნობებს და სთხოვს ბ-ბ. წევრთ, დაესწრონ საგანგებო საზოგადო კრებას, რომელიც დანიშნულია 5 ივლისს ამა 1909 წელს დილის 9 საათისათვის ბანკისავე შენობაში 10⁰/₀ საწევრო თანხის 20⁰/₀ გადიდების და წესდების გაფართოვების შესახებ. თუ ვინიცობაა კრება არ შესდგა, ხელ-მეორე კრება დაინიშნება 19 ივლისისთვის, რაზედაც განმეორებით არავის ეცნობება. (3—ნ.—2)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2½—3½ ს.

**ტეტრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე: 11½—12½ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10½—11½ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ, და პარასკ. 4—5 ს.

**ასპისოვი**— ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ჩერნიავსკაია**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—50)

**ექიმი** მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. პროხსის ქუჩა, N 11. (75—104)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ძმ. ზუბალაშვილების

## სახალხო სახლი

პარასკევს, 19 ივნისს სცენის მოყვარეთა მიერ ქ-ნ ნ. გაბუნია-ცაგარლისა და ბ. ი. ივანიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა

## „ორი ობოლი",

მელოდრამა 5 მოქმედებად და 8 სურ.

მონაწილეობას იღებენ (ალფავიტით): ქ-ნნი ანკარა, ბერიძე, გაბუნია-ცაგარლისა, მარგველაშვილი, მარგარიტა, კავთელი; ბ-ნნი გელია, გოგია, ივანიძე, მეტრეველი, მელიქიშვილი, მანჯავიძე, ხანდოელი, სალაყაია, ჯანკვეტაძე და სხ.

მადამ ფროშარის როლს შეასრულებს ქ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ჟაკისას—ბ. ი. ივანიძე.

ადგილების ფასი 15 კაპ.-დან 1 მან.-მდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათ.**

(3—2) რეჟისორი **ი. ივანიძე.** ადმინისტ.-რი **ლ. ხანდოელი.**

## ქუთაისში

1 ივლისიდან გამოვა ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი:

## „ვარსკვლავი"

გაზეთის ფასი იანვრამდე—3 მან., ერთი თვით 50 კაპ., ცალკე ნომერი 5 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა და განცხადებები თვით რედაქციაში, ყვირილა—მდგრაბანში—ბერზენიშ მალაძესთან, სადგურ მეხიაში—უფასო სამკითხველოში. საჭიროა დაბა-ქალაქებში საიმედო აგენტები. რედაქციის ადრესი: Кутаисъ, редакція „ВАРСКВЛАВИ", Балахванская ул. N 5, во дворѣ.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესზე: Кутаисъ, редакція „Варсквлави" Виссаріону Сопромовичу Чибурданидзе. (5—ფ.—6)

## შპალიერი

ძმ.

## ტარნოპოლსკის

**ფაბრიკის**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (25—ნ 13)

## იყიდება

სოფ. **ხეთას** ზუგდიდში მიმავალ შარა გზასთან ერთ ფარგალში შემოკავებული სამოსახლო საავარაკო

**მამული** ვენახით, ბაღით, დაფნის, აკაციის, წაბლის, რცხილის და სხვ. ტყით გარშემოვლებული. ეზოშივეა სახნავ-სათესი ადგილები და საცხოვრებელი ოდა. მამული ზომით 16—18 ქცევაა.

პირობების გაგება შეიძლება ქუთაისში ჟურნალ-გაზეთების კანტორა „**იმერეთ**"-ში და თვით ხეთაში ბეგლარ და თომა კობახიძეებთან. (3—კვ.—2)

## დაბა ახალ-სენაკში

**ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით**

## იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

## პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—10)


## ტფილისი, 18 ივნისი

გუშინ პეტერბურგს დაიწყო მუშაობა უმაღლესად დანიშნულმა კომისიამ ფინლიანდიის საქმეების გამო. კომისიას აზრად აქვს ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხი, პრემიერ-მინისტრის სტოლიპინის მიერ აღძრული შარშან სათათბიროში, როცა კამათი ჰქონდა მემარჯვენეთა შეკითხვის გამო ფინლიანდიის საქმეებზე. საკითხი შეეხება ფინლიანდიის ძირითად კანონების, ფინლიანდის კონსტიტუციის შეცვლას. ეს შეცვლა იმდენად თვალსაჩინოა, რომ, ფინლიანდიელების აზრით, მათ ავტონომიის გაუქმებას უდრის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ უმთავრესი ნაწილი ამ განზრახვისა უკვე პრაქტიკულადაც შესრულებულია: 1908 წ. 2 ივნისს მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ცნობილი „ოქმი ფინლიანდიის საქმეებზე", რომლითაც იცვლება წესი ფინლიანდიის ზოგიერთ კანონების შედგენისა და ხელმწიფესთან წარდგენისა დასამტკიცებლად. ფინლიანდიის ძირითად კანონების ძალით, ყველა კანონ-პროექტი ფინლიანდიის შესახებ, რომელსაც სეიმი მიიღებს, ფინლიანდიის სტატს-სეკრეტარმა (ფინლიანდიელმა შთამომავლობით) უნდა წარუდგინოს პირდაპირ ხელმწიფეს დასამტკიცებლად. ამასთან ფინლიანდიის სენატიც (სამინისტრო) პირდაპირს დამოკიდებულებაშია ფინლიანდიის დიდ მთავრობისაგან, ე. ი. ხელმწიფისაგან. ამრიგად თვით რუსეთის ცენტრალური მთავრობა სრულიად დაშორებულია ფინლიანდიის საკანონმდებლო საქმისაგან, ფინლიანდიის სახალხო წარმომადგენლობისა და საკუთარ მთავრობის შორის, ერთის მხრით, და ხელმწიფის შორის მეორეს მხრით, რუსის ბიუროკრატია არა სდგას შუამავლად.

აი, ეს წესი აითვალისწუნა თანამედროვე რეაქციამ და სტოლიპინიც მიიმხრო მის შესაცვლელად. ხსენებულ ოქმის ძალით, ეხლა ყველა ის კანონი, რომელსაც ფინლანდიის საკანონმდებლო დაწესებულება მიიღებს და რომელიც, რუსეთის ცენტრალურ მთავრობის აზრით, მთელ იმპერიის ინტერესებს შეეხება, სანამ ხელმწიფეს წარედგინება დასამტკიცებლად მინისტრთა საბჭომ უნდა განიხილოს და თავის მსჯავრით წარუდგინოს ხელმწიფე იმპერატორს. ამასთან ფინლანდიის სენატიც ექვემდებარება მინისტრთა საბჭოს და ამის შემწეობით სწარმოებს მისი ურთიერთობა ხელმწიფესთან.

როგორც ჰხედავთ, ეს დიდი შეცვლაა ფინლანდიის კონსტიტუციაში: საკანონმდებლო დაწესებულების და სენატის პირდაპირი ურთიერთობა აღარ აქვთ დიდ მთავართან და ყველა თვალსაჩინო კანონებს დასჭირდებათ რუსეთის მინისტრთა კაბინეტის დასტური. რასა ნიშნავს ეს დასტური, ეს შუამავლობა რუსეთის ცენტრალურ მთავრობისა, ყველას კარგად უნდა ესმოდეს და ფინლანდიელებმა კიდეც იგემეს მისი ნაყოფი, თუმცა ახალი წესი ჯერ დამტკიცებულიც არ არის და ისე, კონტრაბანდათ მოქმედებს მხოლოდ რამდენიმე თვეა. მაგალითისთვის აღვნიშნავთ მეორე აწ დახურულ სეიმის კანონპროექტებს, რომელნიც ახალის წესით მინისტრთა საბჭოს წარედგინა. მშრომელ ხალხის ეკონომიურ და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სეიმმა შეიმუშავა კანონ-პროექტები—უმიწა-წყლო სოფლის მუშათათვის მიწების მიზომვის შესახებ, მიწების იჯარის წესების შემსუბუქების შესახებ, საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ, ზოგიერთ დარგში მუშაობის ვადის შემცირების შესახებ და სხვა. ეს კანონპროექტები მინისტრთა საბჭომ უბრალო ფორმალურის მიზეზით სრულიადაც არ წარუდგინა ხელმწიფეს და დაუმტკიცებული დარჩა. ეს ერთი მაგალითიც კარგად ახასიათებს საქმეს და სრულებით ამართლებს ფინლანდიელების აზრს, რომ ახლად განზრახული წესი ფინლანდიის საქმეების წარდგენისა ბოლოს და ბოლოს ფინლანდიის კონსტიტუციის გაუქმებას მოასწავებს.

ფინლიანდიელები, რასაკვირველია, არ შეურიგდნენ ასეთ ცვლილებას და თავისებური მედგარი ოპოზიცია, აგიტაცია აღმართეს. მთელი წელიწადია მათი პრესსა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი დაუღალავად ქადაგებენ და იბრძვიან უფლების დასაცველად. ბოლოს თვით სეიმმა შეიმუშავა უქვეშევრდომილესი ადრესი, რომელთაც ითხოვა ძველის კანონის, ძველის კონსტიტუციის დაცვა და 2 ივნისის ოქმის გაუქმება.

კომისია, რომელმაც გუშინ დაიწყო მუშაობა, ეს საქმე უნდა განიხილოს საბოლოოდ და თავისი აზრი წარუდგინოს ხელმწიფეს. კომისიაში რუს წარჩინებულ მოხელეთა გარდა რამდენიმე ფინლანდიელიც შედის, მაგრამ ესენი სეიმს როდი დაუნიშნავს, თვით უმაღლეს მთავრობის მიერ იქმნენ არჩეულნი. ამ კომისიის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული ეხლა ფინლიანდიის ბედ-იღბალი ახლო მომავალში: თუ მან დაადასტურა 2 ივნისის ოქმი, ფინლიანდიის ავტონომია ძირიანად იქნება შერყეული და მრავალ ტანჯული ხალხი კვლავ დიდს განსაცდელში ჩავარდება. უფრო საფიქრებელი-კი არის, რომ მთავრობა ჯერ-ჯერობით ვერ გაჰბედავს ასეთ სასტიკ ღონისძიების განხორციელებას და რამე კომპრომისს ამჯობინებს. მაგრამ ეს დასაწყისი იქნება, პირველი ნაბიჯი, რომელზედაც არ შეჩერდება ახლანდელი რეაქცია, სანამ „საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას" მის მხარეზე აქვს გადახრილი სასწორი... ყოველ შემთხვევაში საინტერესოა, როგორ წავა ახალ კომისიის მუშაობა, რომელიც; ეჭვს გარეშეა, დააინტერესებს არა მარტო ფინლანდიელებს, არამედ მთელ რუსეთსა და ევროპასაც.


**ექიმი** გ. ხ. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კირპიჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

გამოვიდა პირველი, მეორე და მესამე ნომერი სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის

## „მოსავალი"-სა

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წელიწადში ჟურნალი ღირს—3 მ., მიმდინარე წლის პირველ იანვრამდე—2 მ., ცალკე ნომერი ხელზე გასასყიდად—10 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ბაღში, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

რედაქციის ადრესი წერილებისათვის და დეპეშებისათვის: Тифлисъ, „Мосавали", Барятинская, 5. (7—ნ.—2)

**საცხენისის პირველ-დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი**

(ყვარელი, თელავის მ.)

აცხადებს, რომ სასწავლებელთან არსებულ პანსიონში 31 ვაკანსიაა ამიერ-კავკასიელ ღარიბ აზნაურების და სხვა საპატიო წოდებათა შვილებისათვის. ბავშვები, 8—10 წლისანი, მიიღებიან ხაზინის სრულ ხარჯზე, 8—10 წლისანი.

თხოვნები პანსიონში მიღების შესახებ უნდა წარუდგინოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველს. თხოვნასთან უნდა იყოს: 1. მეტრიკული მოწმობა დაბადების შესახებ; 2 მოწმობა თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოსი ჩამომავლობის შესახებ; 3. მოწმობა ექიმისა ყვავილის აცრის შესახებ. (3—ნ.—3)

**◀ ს ო ფ ე ლ ▶**

## ქვემო მაჩხაანის

**დ ე კ ო ს**

სალიკვიდაციო კომისია მეორედ იწვევს წევრთ ამ თვის 28-ს კომისიის ანგარიშების ჩასაბარებლად.

კომისიის თავმჯდომარე **ა. ნადირაძე.** (2—შ.—1)

დაიბეჭდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემანი „ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოებისა"

1. **ილია ჭავჭავაძის**

## კრიტიკული წერილები

ფასი 25 კაპ.

2. **ილია ჭავჭავაძის**

## ცხოვრება და კანონი

ფასი 25 კაპ.

იბეჭდება მისივე „პოლემიკური წერილები" (კატკოვის პასუხად, პოლემიკა იანოვსკისთან და სხ.).

მზადდება დასაბეჭდად „აი ისტორია" და სხ. (5—4)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ტფილ. ლისტოკი" თან და თან გვერდში უდგება „გოლოს კავკ."-სა და იმის ჯურის გაზეთებს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ „გოლოს კავკ." პირდაპირ და აშკარად ამბობს იმას, რაც სათქმელი აქვს, ესე იგი იწუნებს ყველაფერს კარგსა და სასარგებლოს და ჰქადაგებს კაცი-ჭამია აზრებს, „ტიფ. ლისტოკი" კი — მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობს, თუმცა იმავე აზრებს უჭერს მხარს. არც ერთი სერიოზული საკითხი არ აღძრულა, რომ ამ გაზეთს უკუღმართი აზრი არ გამოეთქვას. „შრომის ბირჟის" დაარსებაზე ერთი თავის თანამშრომლის პირით ეს სავაჭრო გაზეთი ბრძანებდა, შრომის ბირჟა არაფერსა ნიშნავს და არც სარგებლობას მოიტანს. ოლონდაც! ალბად მას ქვეყნისათვის უფრო სასარგებლოდ და საკეთილოდ მიაჩნია, რომ მშრომელმა ხალხმა განცხადებები ბეჭდოს „ტიფ. ლისტოკ"-ში, ვიდრე შრომის ბირჟის შუამავლობით ისარგებლოს!

ჩამოვარდა ლაპარაკი უნივერსიტეტის დაარსებაზე და „ტიფ. ლისტოკ"-ს თანამშრომელმა განაცხადა, რა უნივერსიტეტი უნდა იყოს ტფილისის უნივერსიტეტი—აქ არც პროფესორები ივარგებენ, არც ლაბორატორიები იქნება ხეირიანი და არც სხვა რამე, პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში არ ემჯობინება წასვლაო. გაზეთი, რა თქმა უნდა, პირ-და-პირ არ ამბობს, ჩემთვის ტფილისში სასურველი არ არის უნივერსიტეტიო და ასე ლობე-ყურეს ედება. პატარა ძალა მაინც რომ დაეტანება თავის ჭკუისთვის, ადვილად მიჰხვდებოდა, რომ გერმანიაში ბევრად უკეთესი უნივერსიტეტები და პროფესორები არიან, და, მაშასადამე, აღარც პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტები ყოფილა საჭირო!

ეხლა კიდევ ხსენებული სავაჭრო გაზეთი ერთ ფრიად საჭირ-ბოროტო საკითხს შეეხო და, რა თქმა უნდა, თავისებურად, უკუღმართად გადასჭრა. გუშინდელ „ზაკავ."-ში ამ საკითხის გამო ლ. ბოცვაძის წერილია დაბეჭდილი. ვიღაც პ. ტ.—მ სამიოდე დღის წინად „ტიფ. ლისტ."-ში მოათავსა წერილი ამ სათაურით: „სახალხო სკოლა და ენა". ავტორი სწერს და გოდებს, რომ სახალხო სკოლის მოსწავლეებმა ამიერ-კავკასიაში რუსული ენა არ იციან ხეირიანადაო და, მერე, არ იკითხავთ რას აბრალებს ამას: „უმთავრესი მიზეზი ამისა უკანასკნელი წლების ტენდენციაა—რომ სახალხო სკოლებში სწავლება სამშობლო ენაზე სწარმოებდესო", ბრძანებს ავტორი. როგორ მოგწონს, მკითხველო? „ტიფ. ლისტ." გვეტყვის, არ ვარგა ის სახალხო სკოლები, სადაც სწავლება სამშობლო ენაზე სწარმოებს, რადგან იქ გათავებული ბავშვები რუსული ენას ხეირიანად ვერ ითვისებენო. კარგი იქნება გვიბრძანოს სავაჭრო გაზეთმა, იმ სახალხო სკოლაში კურს

დამთავრებულნი, სადაც სწავლება არა სამშობლო ენაზე სწარმოებს, ხეირიანად თუ არა, უხეიროდ მაინც ითვისებენ რუსულ ენას?

მაგრამ ამ „ტენდენციას“ თავი გავანებოთ, ავტორი და გაზეთი უფრო მეტსაც ამბობენ: „საკოლო ცოდნათა გამავრცელებელია რუსული სკოლა და რუსული ლიტერატურა როგორც სამეცნიეროსი, ისე საზოგადოსი, და არა ისტორიული, ზღაპრები თავის ერისათ“. ამ „თავის ერისათ“, როცა ბრძანებს ავტორი, გულისხმობს ჩვენისთანა პატარა ერებს, რომელთაც სურვილი აქვთ, სწავლა სამშობლო ენაზე მოაწყონ.

ამ რიგად, გამოდის, რომ ჩვენისთანა ერი სკოლაში „ზღაპრების“ მეტს ვერაფერს ასწავლის, რომ ჩვენ არც ისტორია გვქონია და არც სხვა რამე. ასე მსჯელობს და ფიქრობს „ტიფ. ლისტოკ“-ი და მისი თანამშრომელი და იმდენი სითამამეც ახლავს, რომ გუშინდელ ნომერში, მაგალითად, ბრძანებს, საჭირ-ბოროტო საკითხების გადაწყვეტას ჩვენი გაზეთის გარდა, არც ერთი სხვა გაზეთი არა სცდილობსო...

დიახ, ასეთი გაზეთები და თანამშრომელნი არიან, რომ ზურგს უმაგრებენ უიმისოდ გათამამებულ რუსიფიკატორებს, რომელთაც სწავლისა და ცოდნის გავრცელების ნაცვლად, სკოლა ბავშვების სატანჯველ ჯოჯოხეთად გადააქციეს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ივნისი

## ო ს მ ა ლ ე თ ი

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატამ კონსტიტუციის გადასინჯვის დროს აღიარა, რომ სულთანს უფლება აქვს მინისტრები დაითხოვოსო.

**სალონიკი.** კარგა ხნის წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, სოფ. სტრელცი დანებდა ჯევად-ფაშას. ჯევად-ფაშამ მცხოვრებთ 600 თოფი ჩამოართვა. მეთაურები დააპატიმრეს. მესამე კორპუსის მობილიზაცია გრძელდება. ყოველ დღე გემებს სამხედრო მასალა მოაქვთ. მოიტანეს 800 ყუთი მატენის თოფები, 3,000 ყუთი გრანატი, გაუტენელი პატრონები და წამალიო, ამას გარდა მოიტანეს დაჭრილთა გადასაყვანი 150 ეტლი. მოვიდა ნაღმოსანი. ნაღმოსანს უფროსობს ინგლისელი ოფიცერი. ნაღმოსანი ყურეში დარჩება.

## საზღვარ-გარედ.

**ლივერპული.** სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დეპუტატებმა შეიმუშავეს ტექსტი იმ წერილისა, რომლითაც ინგლისელებს უნდა მიმართონ. აი ეს წერილი: „მას შემდეგ, რაც ჩვენ ინგლისში ალტაცებით მიგვიღეს, ჩვენ ძალიან დაგვაღონა და შეგვაწუხა შრომის პარტიის მოწოდებამ, რომელიც გაზეთებშიაც დაიბეჭდა. პარტია გვესალმება, როგორც რუსეთის ხალხის წარმომადგენლებს, და ამასთან პროტესტს აცხადებს იმის შესახებ, რომ რუსის ხელმწიფე ინგლისში მოდის. იმ დროს, როდესაც ჩვენ ინგლისის სტუმართ მოყვარეობით ვსარგებლობდით, ჩვენ თავს ნებას არ ვაძლევდით ჩვენი შეხედულება გამოგვეთქვა ინგლისის რომელიმე პოლიტიკურ პარტიის მოქმედების შესახებ, მაგრამ ჩვენ ამას გვაიძულებს ის გარემოება, რომ შრომის პარტიამ უადგილოდ დაგვიპირდაპირა ჩვენ, როგორც ხალხის წარმომადგენელთ, ჩვენი მეფე. ჩვენი მოვალეობაა ჩვენი ამხანაგების მონდობილობით პროტესტი განვაცხადოთ იმ შეურაცყოფისთვის, რომელიც ამ დაპირდაპირებაში გამოიხატა. ბედნიერად ვთვლით ჩვენს თავს რომ ის ალტაცება, რომლითაც ინგლისში მიგვიღეს, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათი ეს შეხედულება არ არის. თქვენი გულწრფელი ერთგული ხომიაკოვი“.

**ლივერპული.** სავაჭრო პალატამ სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დეპუტატების პატივსაცემლად სადილი გამართა.

**ბიბერანი.** ნაშუადღევის $12^{1}/_{2}$ საათზე გაფრინდა „ცეპელენ მეორე“. „ცეპელენ მეორე“ დილის ოთხ საათზე მიტტელის მახლობლად დაეშვა. მიზეზი ის არის, რომ დიდმა წვიმამ გააფუჭა ჰაეროსტატის მოტორი.

## რ უ ს ე თ ი

**ოდესსა.** ქალაქის საქმეთა საკრებულომ დაადგინა, სამართალში მისცეს ქალაქის თავად ნამყოფი პროტოპოპოვი, მისი ამხანაგი ანდრეევსკი, ქალაქის გამგეობის სამი წევრი და გამგეობის ზოგიერთი მოსამსახურე. ყველა ესენი 1905 წელს მოქმედებენ. მათ ჰბრალდებათ ქალაქის ფულის დახარჯვა მთავრობის საწინააღმდეგო საქმეზე.

**სევასტოპოლი.** წყლის ქვეშ მავალ ნავის „კამბალას“ ამოსაღებად წყალში ჩავიდა ორი წყალ ქვეშ მავალი კაცი, მაგრამ მათ ვერ შესძლეს მუშაობა, მალე ცუდად იგრძნეს თავი და ავადმყოფები ამოიყვანეს წყლიდან. „კამბალას“ ამოსაღებად მუშაობა კარგა ხანს გაგრძელდება.

**კიევი.** ფერშალთა კრება შეეხო ფერშალ-ბებიების მდგომარეობას საერობო დაწესებულებებში და დაადგინა: გაუმჯობესდეს ფერშალ-ბებიათა უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა. ამასთან ფერშალთა კრებას სასურველად მიაჩნია, რომ განსაკუთრებულ ადგილებში ფერშლები სცხოვრობდნენ, რაიც გააადვილებს დახმარების აღმოჩენასაო. კრებას აგრეთვე სასურველად მიაჩნია, რომ ყანთავისუფლებულ ვაკანსიებზე ისეთი ფერშლები დანიშნონ, რომლებიც საფერშლო სკოლებში მიუღიათ განათლება.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 78, გარდაიცვალა 24 კაცი, საავადმყოფოებში 541 კაცია.

**ფეოდოსია.** საბირჟო კომიტეტმა სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლად აირჩია ქალაქის თავი კრიმი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს ზოგიერთა წევრებმა განიზრახეს შეადგინონ ჯგუფი, რომელსაც მარტო ეკონომიური მიზანი ექნება და პოლიტიკის გარეშე იდგომება. ჯგუფში ორი განყოფილება იქნება: სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო. საბჭოს 90 წევრმა უკვე თანხმობა განაცხადა ჩაეწეროს ჯგუფში.

**მინსკი.** დაბა ლიუბეშაკში გადაიწვა 118 შენობა. ზარალი 74,800 მანეთს უდრის.

**ეკატერინოსლავი.** ტიუმენ-ის მახლობლად გადამწვარ ტყის ზარალი ნახევარ მილიონ მანეთს უდრის.

**პეტერბურგი.** მოხდა პირველი სხდომა იმ კომისიისა, რომელმაც ფინლიანდიის და რუსეთის შესახებ საერთო კანონების გამოცემის წესები უნდა შეიმუშაონ. თავმჯდომარეობს სახელმწიფოს კანტროლიორი ხარიტონოვი. კომისიაში მონაწილეობას იღებს 10 წევრი: 5 რუსი და ხუთი ფინლიანდიელი. კრება გაიხსნა ხარიტონოვის სიტყვით, რომელმაც განაცხადა, კომისიამ 1899 წლის ძირითად დებულების მაგივრად უნდა შეიმუშაოს ახალი წესები ფინლიანდიისა და რუსეთის შესახებ საერთო კანონების გამოცემისა, როგორც ამა 1905 წლის 6 აგვისტოს და 22 ოქტომბრის და 1906 წლის 24 თებერვლის მანიფესტები გვიკარნახებენ. ფინლიანდიელ წევრების სახელით სიტყვა წარმოსთქვა მთავარ ეპისკოპოსმა იოგანსონმა. მან, სხვათა შორის, სთქვა: ფინლიანდიის სულიერ განძს შეადგენს ქრისტეს მოძღვრება, და კონსტიტუცია, რომელიც მას გამარჯვებულებმა მიანიჭეს. ფინლანდიას არ შეუძლიან უარი სთქვას კონსტიტუციაზეო. ორატორმა იმედი გამოსთქვა, რომ ახალ კანონების შემუშავების დროს ფინლიანდიის კონსტიტუცია არ დაირღვევა. მთავარ ეპისკოპოსს იოგანსონს პასუხი გასცა სახელმწიფო საბჭოს წევრმა დეიტრიხმა. მან, სხვათა შორის, სთქვა: არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფინლიანდია ცალკე სახელმწიფო არ არის, იგი განუყოფელი ნაწილია რუსეთის იმპერიისა. ფინლიანდიის თვით-მმართველობა მარტო მის შინაურ საქმეებს შეეხება. ამ თვით-მმართველობას პროვინციალური ხასიათი აქვს და არა სახელმწიფოებრივი. ბევრი ლაპარაკობს, რომ ის, რაც ჩვენ უნდა შევიმუშავოთ, ფინლიანდიის სეიმს გადაეცესო, მაგრამ ეს შეუძლებელია და უკანონოაო. მარტო რუსეთის უმაღლეს მთავრობას შეუძლიან რუსეთის ყოველ ნაწილის თვით-მართველობის მოწესრიგება და სხვათა შორის ფინლიანდიისაცო. სიტყვების წარმოთქმის შემდეგ კომისიის წევრები იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ სიტყვიერად მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია, რადგან ფინლიანდელმა წევრებმა რუსული ძალიან ნაკლებად იციან. კომისიამ სასურველად ვერ დაინახა, რომ თარჯიმანების საშუალებით ემუშავნათ, ამიტომ დაადგინეს, შემდეგში უმთავრესად წერას მიმართონ იმ პირობით კი, რომ ფინლიანდელი წევრები მოვალენი არიან თავიანთი განცხადებანი თავმჯდომარეს სახელზე რუსულად დასწერონ. ფინლიანდელმა წევრებმა თავიანთი აზრი პირველ სექტემბრამდის უნდა წარადგინონ. როდესაც რუსი წევრები ფინლიანდიელ წევრების აზრს გაიცნობენ, კომისიის წევრების საერთო სხდომები დაიწყობა და მაშინ შეიმუშავებენ წესდების რედაქციას.

**ეკატერინბურგი.** კილდოვის გზაზე პერმ-ეკატერინბურგის რკინის გზის მეიჯარადრის კასირს თავს დაეცა სამი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი და 4000 მანეთი წაართვა. ამ რკინის გზას ეხლა ამჟნებენ და კასირს ფული მუშების დასარიგებლად მიჰქონდა. დააპატიმრეს სამი კაცი.

**მოსკოვი.** სრულიად რუსეთის მღემღერალთა გუნდების მეთაურთა კრებამ დაადგინა, მოაწყოს სამუსიკო-საპედაგოგო გამოფენა.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **საეკლესიო მამულის გაყიდვა გროშის ფასად.** მკითხველებისათვის ახალი ამბავი არ არის როგორ გაწყალდა და გაჰქრა საქართველოს საეკლესიო ქონება და მამულები. ამაზე ბევრი დაწერილა, ამიტომ ეხლა ერთ უკანასკნელ ამბავს მოგითხრობთ მხოლოდ. ამ ოთხი-ხუთი წლის წინად, სასულიერო მთავრობის განკარგულებით, გაიყიდა საეკლესიო მამული ტფილისში. სამღვდელოებას ადრე სანთლის ქარხანა ჰქონდა ვორონცოვის ქუჩაზე საეკლესიო მიწაზე. ეს მიწა ზომით 2 დესეტინაა. სამღვდელოებამ ქარხანა გადაიტანა კრაზე, სადაც შეიძინა მიწა და კარგა მოწყობილი შენობი. ცნობილ დეკანოზ ვოსტორგოვის დროს ვორონცოვის ქუჩაზე საეკლესიო მამული სასულიერო მთავრობამ გაჰყიდა სულ 27,000 მანეთად. სომეხ-თათართა შეტაკებამდე, როგორც მცოდნე პირთაგან გავიგეთ, პოლიციის მე-6 ნაწილში მიწა გაცილებით უფრო ძვირად ფასობდა. მაინც დღესაც ამ ადგილის მეზობლად მემამულენი ოთხ-კუთხ საჟენს 30—40 მ. აფასებენ. ეს ფასიც რომ მივიღოთ, ორი დესეტინა გამოდის 144,000 მ., დავაკლოთ 44,000 მანეთიც, მაინც 100,000 მ. რჩება. აი ასეთი მამული 27,000 მანეთად გაჰყიდეს. ამბობენ, ამ ფულით ეგზარხოსის საცხოვრებელი ბინა შეაკეთესო. ამას წინად გაზეთებში პატარა ცნობა იყო დაბეჭდილი, რომ სიონის ტაძრის წინამძღვარმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, სიონის წინ ქუჩა მეტად შევიწროებულია და დაგვეხმარეთ, რომ ამ ძველ საკათედრო საკრებულო ტაძრის წინ მოედანი ცოტა გავაფართოვოთო. როგორც მცოდნე და მომსწრე პირები ამბობენ, სიონის საკუთარი ადგილები სიონის ზემოდ სოლოლაკისაკენ დესეტინობით იყიდებოდა, ალბად სასულიერო მთავრობის ნება-რთვით, საჟენი 80 კაპ.—1 მან. და ეხლა სიონის საკრებულოს თვით გაუხდა სათხოვარი ერთი საჟენი მიწა. ამისთანა ამბავი ბევრი მომხდარა დღემდე და, რასაკვირველია, მოხდება დღეის შემდეგ. როგორც ვწერდით, ჰყიდიან აგრეთვე სემინარიის ძველ შენობასაც. ვინ იცის, იქნებ ამ მილიონად ღირებულ ადგილსა და სახლსაც, რომელიც საქართველოს საეკლესიო ხაზინამ ამ 80 წლის წინად შეიძინა. 82,000 მანეთად ზუბალაშვილებისაგან, იგივე ბედი ეწვიოს...

✦ **გატაცებულ ფეფელოვის დაბრუნება.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამ ოთხი-ხუთი თვის წინად ვიღაცეებმა ბარიატინსკის ქუჩიდან გაიტაცეს მდიდარ ტფილისელ მალაკნის, ამას წინად ცულით მოკლულ, ფეფელოვის შვილი, გიმნაზიის მოსწავლე პეტრე ფეფელოვი. ფეფელოვი მხოლოდ 13 ივნისს გაანთავისუფლეს ბოროტ-მოქმედებმა. როგორც გადმოგვცეს, გატაცებულ მოსწავლის გამოსახსნელად 10,000 მან. გადაუხდიათ, „კასპი“-ს სიტყვით კი 15,000 მანეთი მიუ იათ. ტფილისში მოყვანის შემდეგ ფეფელოვი ნათესავებთან დარჩა რამდენსამე დღეს და შემდეგ პეტერბურგს წავიდა დედასთან.

✦ **კახეთის რკინის გზა.** ტფ. თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს მიუღია ქურნალი იმ განსაკუთრებულ კომისიისა, რომელმაც თავად-აზნაურთა რწმუნებულების მონაწილეობით აპრილის შუა რიცხვებში განიხილა საკითხი კახეთის რკინის გზის გაყვანის შესახებ. დეპარტამენტი წინადადებას აძლევს თავად-აზნაურთა რწმუნებულებს, განიხილონ აღნიშნული ჟურნალი და თავიანთი მოსაზრებანი წარუდგინონ მას არა უგვიანეს ამა წლის 1 ივლისისა. როგორც აღნიშნულ ჟურნალშია აღნიშნული, კონცესიის უფლება ეძლევა თავად აზნაურობას და არა რწმუნებულებს. თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს, თავ. ანდრონიკაშვილს და თავ. გ. თუმანიშვილს. ჟურნალში, რომელიც შეიცავს ასამდე ფურცელს, დაწვრილებით არის აწერილი ისტორია საკითხისა და დასასრულ კომისია ამბობს: „კომისია ერთ ხმად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კახეთის რკინის გზის გაყვანას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ექნება, რაიცა ამართლებს რკინის გზის საჩქაროდ გაყვანის საჭიროებას და საობლიგაციო თანხის მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფა“. კამისია ადგენს: დაარსებულ იქნეს საქციონერო საზოგადოება ვიწრო ლიანდაგიან გზის გასაყვანად, რომელიც დაჯდება 9 მილიონად, ანუ ფართო ლიანდაგიან გზის გასაყვანად, რომელიც დაჯდება არა ნაკლებ 12 მილიონისა. ამ საქმის გამო სადეპუტატო საკრებულოში უკვე შეუდგნენ მუშაობას. როგორც ამ სხდომაზე გამოირკვა, კახეთის რკინის გზის შესახებ საქმე საბოლოოდ განსახილველად ახლო მომავალში წარედგინება მინისტრთა საბჭოს, ამისთვისაა საჭირო კონცესიონერების აზრი კომისიის ჟურნალის გამო

✦ **საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება.** 14 ივნისს ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის სადგომში მოხდა წლიური კრება საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. კრებამ დაამტკიცა წასული წლის ანგარიში და მიმდინარე წლის ხარჯ-აღრიცხვა. კრებამ საპატიო წევრად აარჩია პროფესორი ცაგარელი. მიიღო რამდენიმე ახალი წევრი. დასასრულ ახალ-გაზდა

# ქართლის ვითარება

სწავლა-განათლების მხრივ ჩამორჩენა.—ქართველი სალდათები და ქალაქად გასული ხალხი.—სკოლისა და მასწავლებლის უნუგეშობა.—ეხლანდელი მასწავლებელნი.—გორის სამოქალაქო სემინარია.—ქართული ენა სასწავლებლებში.

სწავლა-განათლების მხრით, მეტი რომ არა ვსთქვა, ქართლისთანა უკან ჩამორჩენილი მხარე სხვა არ მეგულება საქართველოში. რა ვიცი, იქნება ხევსურეთი შეედრებოდეს ქართლს ამ შემთხვევაში: იქაც ისევე უპატიურად ეკიდებიან სკოლას და სწავლის საქმეს, როგორც აქ. ეს კია, გარედ გასული ხევსური ყოველ ღონისძიებას იხმარს, უეჭველად შეისწავლოს ქართული წერა-კითხვა და ცოტა რაი რუსული ლაპარაკი. სკოლას კი ერიდებიან.

ქართლში სკოლები მოძრაობის დროს თითქმის სულ დაიკეტა. რაც დარჩა, ისინიც სულსა ჰლევენ უპატრონობით. ხალხმა დიდის სიამოვნებით მოიშორა თავიდან მაშინ ეს „გამოუსადეგარი“ სკოლები და არც დაუნანია, მით უფრო, რომ მასწავლებლის ჯამაგირის მოგროვებაში ბევრი მათრახი მოჰხვედრია და ბევრი ქათამი გაუფუფქია ჩაფრებისათვის. ტყუილად გვაქვს იმედი, რომ, ჯერჯერობით მაინც, ხალხი თვითონ იკისრებს სკოლების აღდგენას: შორეულ სარგებელს ხალხი ვერ გაიგებს და დღეს კი ამ გაჭირვებაში 2—3 მანეთი რომ უკანა რჩება, იმის მოკლე ბიუჯეტისთვის დიდი შეღავათია. თავის დროზედ-კი, მწამს, რომ ცხოვრება თვითონ აიძულებს მაგრა მოებღაუჭოს სკოლას, მაგრამ დღეს რაც არის, მემატიანემ ის უნდა აღნიშნოს.

ჯერ ერთი, ამ საათში, ვინც სალდათად მიდის, იმისთვის მეტად საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა. ჩვენ ხალხს ამ ბოლო დროს ხომ ჯარისკაცებად სულ რუსეთის შიდა და შორეულ უცხო და უმეცარი ხალხია და ვერავის ვერც ლაპარაკს შეასმენს და სახლში რომ ორიოდე სიტყვის მიწერა უნდოდეს, ან სახლიდან მიიღოს წერილი და თვითონ ან მისმა ამხანაგმა არ იცოდეს კითხვა, უნდა მთელი თვეობით ასე ყრუ-მუნჯივით იჯდეს. ამიტომ ყველა სცდილობს **უეჭველად** შეისწავლოს წერა-კითხვა, თან მიაქვთ „დედა-ენები“ და ჰხედავ ხუთი-ექვსი თვის შემდეგ სახლში წერილი მოსდის იეროგლიფების მსგავსი ასოებით ნაკაწრი, მორბის გახარებული დედა და გაჩვენებს, აი ჩემს შვილს თავისი ხელით დაუწერია, ენაცვალოს დედაო. მეორე წლის ბოლოში უკვე რუსული წარწერაც არის: „პისმო პასალუ მალადოი სალდატუ“. ესენი სწავლობენ ქართულ წერა-კითხვას და აღარც ივიწყებენ.

ახლა ქალაქებში დაიწყეს წასვლა, რკინის გზებზე, რკინის გზის სახელოსნოებში, მზარეულად, ხელზე მოსამსახურედ, და ყველა ამათში მუდამ უპირატესობას წერა-კითხვის მცოდნეს აძლევენ და ჯამაგირიც მეტი აქვთ და კულტურულ ელემენტადაც ესენი ითვილებიან სოფელში. ამათ უარჰყვეს წინად ახალგაზდებში გავრცელებული ყაჩიხური ჩაცმა-დახურვა და ბლუზები და პიჯაკები ჩაიცვეს. უეჭველია, როცა ამათ შვილებს სწავლის დრო მოუვათ, სკოლაც დასჭირდებათ და მასწავლებლებიც. ეცდებიან კიდეც სკოლების დაარსებას. დღეს-კი ასე უმწეოდ არის თავ-მინებებული ხალხი და იმათთვის არავინ არა ზრუნავს.

ერთი მიზეზთაგანი, რაც ხალხს აძულებდა სკოლას, ჩემის ფიქრით, ისიც უნდა იყოს, რომ ქართლში იშვიათად არის დიდი სოფელი, რომელსაც საკუთრად შეეძლოს სკოლის შენახვა; ამიტომ რამდენსამე სოფელს აკისრებენ სკოლის ხარჯს, ეს სოფლები-კი ბევრჯელ 6—7—8 ვერსით არიან ხოლმე დაშორებულნი სკოლას; ისე გადის ათი და ოცი წელიწადი, რომ სოფელი სკოლის ხარჯს მუდამ წელიწადს სრულიად იხდის და ერთი ბავშვი-კი არა სწავლობს, არც უსწავლია. აბა ეს ხალხი რა გულით იქნება ამ სკოლებზე?

გაზეთებში წავიკითხე, რომ სათავად-აზნაურო ბანკის კრებებზე გ. დიასამიძეს უთქვამს, სტიპენდიების ფული სოფლებში სკოლების დაარსებას მოვახმაროთო. განა ამაზე კარგ საქმეს გააკეთებდა თავად-აზნაურობა? მგონი ამის მთქმელს პირში ბურთი ჩასჩარეს, რა ფული, რის ფული, რის საქართველო და ხალხი, ფულიც და ბანკიც თავად-აზნაურობისააო. მართლა და დიასამიძის წინადადება რომ მიეღოთ, ორმოცი სკოლა მაინც გაიხსნებოდა, სადაც წელიწადში, სულ უკანასკნელი, რამდენიმე ათასი ბავშვი წერა-კითხვას შეისწავლიდა, სტუდენტობა კი უიმისოდაც მოახერხებს სწავლის დამთავრებას.

როგორც ზევითაც ვსთქვი, სულ რამდენიმე სკოლა დარჩა ქართლში, ისიც ისეთები, რომლებსაც მთავრობა ეხმარება, მაგრამ ეს სკოლებიც რა მდგომარეობაშია! ნეტა თქვენ კეთილ თვალს აჩვენა. მაგალითისთვის მეჯრუხევის სკოლას მოვიყვან. სოფელი მეტად დიდია და მიწერილიც არის ზედ კიდევ ათამდე სოფელი. ამ სკოლას ამ ზამთარს სახურავი დაექცა თოვლისაგან და მასწავლებელმა რის ვაი-ვაგლახით თავის ხელით გააკეთა. ეხლაც წვიმა და ავდარი შიგ კლასში გრიალით ჩადის. ეზო შეუღობავი აქვს და კამეჩები და ძროხები ხშირად შიგ კლასში ეწვევიან ხოლმე მასწავლებელს. ალბად გაუგიათ, რომ წელიწადი ისე გავა ხოლმე, რომ მეჯრუხევის ინტელიგენცია არც კი მიიხედავს სკოლისკენ; განა თუ მივა, დაათვალიერებს სკოლას, ასწავლის რასმე მასწავლებელი, თუ რასა შვრება. ახლა თვით მასწავლებლების მდგომარეობა იკითხეთ: ოთხი და ხუთი თვეობით სხედან უჯამაგიროდ, მშივრები, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ გაჭირვებამ, ამ შავმა დრომ ამათში სოლიდარობა და ძმობა, გამტკიცების მაგივრად, უფრო მოისპო. პირიქით (მარტო მეჯრუხევზე არ ვამბობ) ერთმანეთის მტრობასა და ზეზლებაში ამოჰდით ხული. ან კი რა გასაკვირველია. მასწავლებლებად ეხლა ისეთები მიდიან სოფელში (როგორც მღვდლებად), ვინც ყველა ხელობა სცადა და ვერსად ვერ გამოდგა.

ამათ რა პრინციპები უნდა მოვსთხოვოთ? და ნუ ეწყინება იმათ გორელ კოლეგებსაც. არც ამ საშუალო სასწავლებლის მასწავლებლები ჩამოურჩებიან სოფლელ პესტალოცებს. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარია სავსეა ამათი ერთმანეთზე მიწერილ უსახელო წერილებით და „დანოსებით“. აბა რომ მასწავლებლები ერთმანეთს იმით აშინებენ, რომ „გამიფთხილდი, თორემ «я на все способенъ-о»“, აბა ვინც არავითარ საძაგლობას არ მოერიდება მოწინააღმდეგის დასათარგუნად, ამათთანა მასწავლებლებს რა ხელმძღვანელობა და აღზრდა უნდა მოვთხოვოთ ახალთაობისა? რა მაგალითს მისცემენ ესენი ქორფა მოწაფეების სულსა და გულსა?..

გორში კაი ხანია საოსტატო სემინარია არსებობს. ერთ დროს ამ სემინარიაში წერა-კითხვის საზოგადოებას სტიპენდიანტებიც ჰყავნდა და კარგი შეგნებული მასწავლებლებიც გამოდიოდნენ იქიდან. მას აქეთ კაი ხანი გავიდა და ძალიანაც შეიცვალა დრო და გარემოება. ამ სასწავლებლის უფროსის მეოხებით დღეს სემინარიაში ქართველები ანთლით საძებნელნი გახდნენ. წლეულს ერთსაც არ გაუთავებია ქართველს. შარშან სამმა გაათავა. სულ მთელ კლასებში ეხლა სემინარიაში არ მოგროვდება 10—12 კაცზე მეტი ეს იმ სემინარიაში, რომელზედაც მუდამ წელიწადს იხარჯება 50,000 მანეთზე მეტი საერობო ფულიდან. ჩვენ გორის გამგე მამებს რომ ჰკითხო, ძალიან „ხლაპოტობენ“, რომ სემინარია არსად გადაიტანონ და ამ სამ დღეში კიდეც დაადგინეს და სთხოვეს მგონი ნამესტნიკს, თუ ოლქის მზრუნველს, რომ არსად გადაიტანონო. სასწავლებელი ჩვენშია და შიგ-კი ქართველებს არ აჭაჭანებენ. და მერე რომ იცოდეთ, რა მიმართულებით გამოდიან აქაური მასწავლებლები და რა ავლა-დიდებით. აქაური ქართველი მოწაფეები რუსულადა სწერენ პატრიოტულ ლექსებს. ხსენებული სემინარია სავსეა კაზაკთა შვილებით.

გორის მამები სულ სხვანაირად მსჯელობენ. სემინარია მოთავსებულია ზუბალაშვილების სახლში. გადასწყვიტეს საკუთარ შენობის აგება. შეევაჭრნენ რამდენსამე პირს. შიგ გორში საუკეთესო ადგილი 5 დესეტინა აქვს თუმანიშვილს. ამან აძლია სემინარიას ეს ადგილი ათი ათას მან. და მგონი კიდევ ნაკლებად, იმ დროს, როცა კერძო პირებზე წვრილ-წვრილად საჟენს 5 მან. ჰყიდის. არ ინდომა სემინარიის უფროსმა. შეაძლია თავისი მიწა კიდევ ამისავე გვერდზედ მელიქოვმა, ამანაც ძალიან იაფად. არც ეს ინდომეს. გორის თავში ყაზარმებთან გურგენოვს აქვს ხუთი დღის მიწა და პატარა ძველი ვენახი. შეევაჭრნენ იმას და თუმცა პედაგოგიურ საბჭოს საუკეთესო ნაწილი წინააღმდეგი იყო ამ ადგილის ყიდვისა, მაინც უფროსის სურვილით ამ ადგილში მოურიგდნენ გურგენოვს, ალბად რაკი აქვე ყაზარმებია, მოწაფეები

მეცნიერმა კაკაბაძემ წაიკითხა რეფერატი „მე XIII საუკუნეში მეფეთა კურთხევის წესისა და კანგების შესახებ“. რეფერენტი ამტკიცებდა, რომ მეთორმეტე საუკუნიდან წესი მეფეთა კურთხევისა შეიცვალა. თვით მე XIII საუკუნეშიაც წესი მონგოლთა ზეგავლენის გამო რამდენჯერმე იქმნა შეცვლილიო. რეფერენტი ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

✦ **უპასპორტოები.** ჩხრეკის დროს პოლიციის მე-4 ნაწილში დააპატიმრეს 6 უპასპორტო კაცი. 9 კაცი დააპატიმრეს პოლიციის მე-8 ნაწილში.

✦ **გამოსაკვლევად ჩამოსულნი.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა გზათა სამინისტროს წარმომადგენელი სტ. სოვეტ. ჩერვინსკი, რომელსაც დავალებული აქვს კავკასიის უღელტეხილზე განზრახული რკინის გზის გამოკვლევა ეკონომიურად.

✦ **სახალხო ხმების შეკრება.** ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობის დადგენილებით, გამგეობის წევრნი ზ. ფალიაშვილი და ნატრაძე წელს ზაფხულს გაემგზავრებიან ქართლის სოფლებში სახალხო ხმების შესაკრებად. ნატრაძე წავა არაგვის ხეობაში, ხოლო ფალიაშვილი ქართლის სხვა ნაწილებში.

✦ **სწავლა - დამთავრებულნი.** ტფ. წმ. ნინოს [?] 1-ლ გიმნაზიის 8 კლასი წელს დაასრულა სულ 51 მოსწავლე ქალმა. აქედან შემდეგმა რვა ქართველმა: თამარ ზალუაშვილმა, მ. გამრეკელმა (ოქროს მედლით გაათავა), ე. დადიანმა (ოქროს მედლით), ა. მიქელაძემ, ნ. ჩახნაშვილმა, ა. იოსავამ, ს. ქართველიშვილმა და გ. სიდამონ-ერისთავმა.

✦ **ახალი კლუბი.** სამშაბათს, 16 ივნისს, მოხდა პირველი სხდომა ახალ კლუბის ამ დღეებში არჩეულ მამასახლისთა საბჭოსი. საბჭომ პირველად აირჩია ახალი პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა კნ. ელისაბედ ორბელიანისა, თავმჯდომარეს ამხანაგად თავ. მ. ი. ორბელიანი, ხოლო ხაზინადრად ვ. კორინთელი. საბჭომ დაადგინა, შეუდგეს ეხლავე ბინის ძებნას. სანამ ბინას გამოძებნიდნენ, საბჭო ახალ წევრებსაც მიიღებს.

✦ **დათხოვნა.** „ბაკუს“ პეტერბურგის დეპეშით ატყობინებენ: „სენატმა სამსახურიდან დაითხოვა ვარშავის სამოსამართლო პალატის წევრი თავადი ორბელიანი“.

✦ **სიდერიდისის და ამხანაგობის ქარხანა.** ამ რამდენიმე ხნის წინად ბათუმში სიდერიდისის ქარხნის ადმინისტრაციამ მუშებს წინადადება მისცა, სამუშაო ქირა უნდა დაიკლოთ და დღეში, 14,000 ყუთის მაგიერ, 18,000 ყუთი უნდა დაამზადოთო. როგორც „ბატუმ. ნოვ.“ გადმოგვცემს, სიდერიდისის ქარხნის მუშებს საქარხნო ინსპექტორისთვის მიუმართავთ და გადაუციათ, რომ თანახმანი ვართ დღეში თითო მუშამ წინანდელზე 100 ყუთი მეტი გააკეთოს, ქარხნის ადმინისტრაცია კი თითო მუშას წინანდელზე 150 ყუთით მეტს ავალებს, რაც ყოვლად შეუძლებელიაო. მუშები სთხოვენ ინსპექტორს, მოელაპარაკოს ქარხნის ადმინისტრაციას და მათი აზრიც გადასცეს.

✦ **თავ-დასხმა ბაქოში.** ბალახანაში, პ. დ. სააგენტოს სიტყვით ვიღაც სამი კაცი, მაუზერებით შეიარაღებული, თავს დასცემია ქუჩაში მიმავალ კასპიის ამხანაგობის სამრეწველოების გამგეს მელიქიანს. მელიქიანი ჩამომხტარა ეტლიდან და რევოლვერის სროლა აუტეხნია. უცნობები გაქცეულან.

✦ **რკინის გზა ქართლში.** როგორც უკვე ვწერდით, თავ. მ. რ. ერისთავს და ხუროთ-მოძღვარს ზეიდელს აზრადა აქვთ ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა გაიყვანონ ქალაქ გორიდან სოფელ ფლავამდე. რკინის გზა დაიწყება გორის ხიდთან, გაივლის სამეფო ქუჩაზე, საფოსტო მოედანზე, ამირაღოვის ბაღის გვერდზე, გადასჭრის მდ. მეჯუდას, გაივლის კარალეთზე და მივა სოფ. ფლავამდე. ეს რკინის გზა გაჰყავთ უმთავრესად ცემენტის გამოსაზიდად, რომელსაც დაამუშავებენ თავ. მ. რ. ერისთავის მამულში, კარალეთში. საქმის ინიციატორებს გორის ქალაქის თვით-მართველობისთვის უთხოვნიათ უსასყიდლოდ დაუთმოს ის ადგილები გორში, სადაც მომავალი რკინის გზა გაივლის, რაზედაც თვითმმართველობას თანხმობა გამოუცხადებია.

✦ **სამსახურიდან დათხოვნა.** სასჯელთა დებულების მე-1100 მუხლის ძალით სამსახურიდან დაუთხოვნიათ ახალ-სენაკის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი ბუნგლიშვილი.

✦ **საჩივარი ბოქაულზე.** ტფ. გუბერნატორს და ოლქის სასამართლოს პროკურორს მიხაილოვიდან დეპეშით საჩივარი მოსვლიათ სურამის ბოქაულ ალბერტზე. ო. ამაშუყელი, კ. ცქიტიშვილი და ს. იოსელიანი ატყობინებენ გუბერნატორსა და პროკურორს, რომ ხსენებულმა ბოქაულმა მიხაილოვში, დევდარიანის რესტორანში, თავის სტრაჟნიკებით გვცემაო (ტ. ლ.)

✦ **თავად-აზნაურთა წინამძღოლი კათალიკოსთან.** 16 ივნისს სომეხთა კათალიკოსთან იყო ტფ. თავად-აზნაურთა წინამძღოლის თან. აღმასრულებელი თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

✦ **ჩამოხრჩობა.** 12 ივნისს ბაქოში სამხედრო სასამართლოს გაურჩევია საქმე ხონელ სილვესტრ ლატორიასი, რომელსაც ბრალდებოდა ჟანდარმის უნტერ-ოფიცერის მოკვლის განზრახვა. სასამართლომ ლატორიას ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. (8.)

✦ **ექსკურსანტები.** ამ ზაფხულს დიდ-ძალი ექსკურსანტები ჩამოდიან რუსეთიდან კავკასიაში. მოდიან უმთავრესად უმაღლეს სასწავლებლების მოწაფენი—ქალები და ვაჟები. ეხლა ტფილისში უკვე ორი დასია მოსწავლე - ექსკურსანტებისა. კავკასიის გზით ამ ჟამად მოდის თურმე 500 ექსკურსანტი-მოსწავლე. ეს ამოდენა ხალხი ფეხით მოდის თურმე. ნაწილი ამ ექსკურსანტებისა გუშინ უკვე ჩამოვიდა ტფილისში.

✦ **სტიპენდიები.** შემოდგომიდან არსდება უმაღლეს სასწავლებლებში 15 სტიპენდია გ. ი. მირზოევის სახელობაზე. ტფ. ქალაქის გამგეობაში უკვე შევიდა 790 თხოვნა. სტიპენდიები ეროვნების განურჩევლად უნდა დაინიშნოს.

✦ დღეს 18 ივნისს, სადამოსთვის დანიშნულია სხდომა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობისა რამდენიმე მიმდინარე საქმის განსახილველად.

✦ 16 ივნისს თამამშევის წისქვილთან მტკვარში დაიჭირეს თითქმის გახრწნილი გვამი ვიღაც უცნობ კაცისა, რომელსაც აღმოაჩნდა 5 ჭრილობა. უცნობი კაცის გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

✦ 16 ივნისს ტფ. მოქალაქემ ნიკოლოზ მამულოვმა პოლიციაში განაცხადა, რომ მან დანით სასიკვდილოდ დასჭრა თავისი ცოლი მარიამი. მამულოვი დააპატიმრეს. მარიამ მამულოვი საავადმყოფოში გაჰგზავნეს. მისი მორჩენა საეჭვოა.

---

უფრო ფხიზლად და თავდაჭერით იქნებიანო. სწორედ ამ ადგილს ამ ყაზარმების სიახლოვის გამო სწუნობდა მოწინავე ნაწილი პედაგოგიურ საბჭოსი: სწავლაში ყვირილი და ხმაურობა ჯარისკაცებისა ხელს შეგვიშლისო. უნდა მისცენ ამ მიწაში სემინარიის ხილის ბაღი $1^3/_4$ დესეტინა, საუკეთესო ევროპიული ხილით გაშენებული, რომელიც წელიწადში პატრონს მისცემს 1500-2000 მან. შემოსავალს. იმავე ბაღშია ახალი ქვითკირის ორ სართულიანი შენობა, 7000-8000 მან. დამჯდარი. უნდა მისცენ სემინარიას კიდევ 6000 მ. ნაღდი და ქალაქმა გორმა 4000 მ. ნაღდი, აგრეთვე დამტკიცების ყოველ ხარჯს კისრულობს ქალაქი გორი. მე რომ ვკითხე ერთ-ერთ მასწავლებელს, ის ბაღი რამ გაგამეტებინათ მეთქი, იმან მითხრა, ძირში მიწას რიყე აქვს და ის ხეხილი მალე სულ ამოვარდებაო (საწყალი გურგენოვი რა ზარალში იქნება!) ახლა ვკითხოთ გორელ მამებს, რა ძალა ადგაით? ან ამდენ ფულის მიცემა მიწაში, რომელიც ამის მეოცედიც ძლივს ღირს, ნეტა რა ჰკუაში მოსასვლელია? ახლა ამ საქმის დამტკიცებას მზრუნველისაგან ელიან. თუ ნება დართო, საქმე გაიჩარხება. მაგრამ, როგორც გაზეთში იყო გამოცხადებული, მზრუნველი ცდილობს ტფილისში გადაიტანოს ეს სემინარია.

სემინარიის ამ ბაღს სამოქალაქო სასწავლებელი სთხოვს, რაკი შენ ბუღიდან ამოიღე და არ გესაჭიროება, აიღე და ჩვენ მოგვეციო. ჰქვას ახლოც არის: ჯერ ერთი, რომ შემოსავალს მისცემს და ამ შემოსავლით რამდენ ღარიბს გაანთავისუფლებენ სწავლის ფულისაგან. ახლა მოწაფეები, რაკი ამ ბაღში ყველა საუკეთესო ჯიში სდგას ხილისა, შეისწავლიან აქ ყველა ჯიშის სიავკარგეს და ცხოვრებაში გამოიყენებენ. კერძო ხელში გადასვლა კი არავისთვის სასარგებლო არ იქნება.

რაკი სწავლა-განათლებაზე მიდგა საქმე, არ შემიძლიან გავჩუმდე და არა ვსთქვა, რომ ქართული ენის საქმე ამ სკოლებში ძალიან ჩათლახად არის. არ ვიცი, სასწავლებლის პროგრამები ტყუიან თუ თვითონ მასწავლებლები. პროგრამა ალბად სტყუის, რადგან მოწაფეებს არ ავალებს ამ ენის ცოდნას. მოწაფეებმა რომ მთელი წლის განმავლობაში ამ საგნიდან სულ ორები იღონ, წლის ბოლოს არც სხვა კლასში გადასვლის დაუშლის და არც განმეორებით ეგზამენს დაუნიშნავენ. მაგრამ არც მასწავლებელია მართალი, რადგან დამშლელი არავინა ჰყავს, რაც უნდა და რამდენიც უნდა, ის ასწავლოს. რა ვქნა, ძალიანა ვტყუით, ძალიანა ტყუის თავადაზნაურობა, რომ ამისთანა სკოლებს ფულითაც ეხმარება. თორემ რჯულგამოცვლილს წინანდელ რჯულზე რომ ელაპარაკო, რა ნაყოფს გამოიღებს? რა მოეთხოვება იმისთანა თავად-აზნაურობას, რომელიც შინაც და კარშიაც სულ სხვა ენაზე ლაპარაკობს და შვილებს ქართულს არ ასწავლის. ამათ ოჯახებში რუსულია გაბატონებული, ქართული არაფერი სწამთ. აკი იძახიან კიდეც, სად არსებობს ქართული ლიტერატურა, ვინ არიან, სად არიან ქართველი მწერლებიო? ვისაც უნდა ეწყინოს, ამათ ამარას დარჩენილი ქვეყანა ღმერთმა ჩემს მტერს მისცეს.

**ბოცოცა.**

---

# პატარა ფელეტონი

## საყვარელი მთა

მომაგონდება, ოდეს პატარა, ჯერ კიდევ ნორჩი, საყვარელ მთისა ბილიკებზე მიმოვიდოდი. დილის რიჟრაჟზე, როს ფრინველები ჟრიამულს მორთვენ, ოდეს ბულბული აღგზნებული, ნაზი ბუნებით გატაცებული დაიწყებს სტვენას,—მეც ვიშმუშვნოდი, ძილს თავს ვახწევდი და იმ მთისაკენ ვეშურებოდი. მიყვარდა მისი მწვანით მორთული ბუჩქნარ-ჩირგვები და ფერდობები. მიყვარდა მისი ნაძვ-ფიჭვნარები, სალი კლდეები და მის დაღმართში ჩქეფით მავალი ნაკადულები. მიყვარდა მასზე გაშენებული კოხტა ტაძარი, რომელიც იდგა განმარტოებით, ეულად, ობლად, სადაც წმინდის სულისა მსხვერპლად საკმევლისაგან მიმოაკმევდნენ.

მთაში მერცხლები ჭიკჭიკ-გალობით გარს მეხვეოდნენ, ციურ სიმღერას შორით ვისმენდი. აღმიტაცებდა ხოლმე ეს ხმა მე, ჩემს ნორჩ რწმენასა ის ხმა ციური ეთანხმებოდა და წუთით მისგან შევიქმნებოდი დატყვევებული; ის მავიწყებდა ამ ქვეყნიურსა ტანჯვა-წამებას და ლაღ ოცნებით შორს მიმაფრენდა, შორს მიტაცებდა. ჩემთვის იმ მთაში თითქმის ყველაფერს მომჯადოები სახე მიეღო: აქ ნაკადული წყნარი ჩუხჩუხით თავისკენ მიხმობდა; სიწმინდით მოცულ მის ნაპირებში, სადაც ჩირგნარი ზრდილა, ჰყვაოდა, ბულბული ნაზი ლაღად დაფრენდა და შეთანხმებულ ტკბილსა სიმღერას გადასძახოდა იქაურობას. იქ შაშვი მღერდა, აგერ მერცხალი ცისა სივრციდან ზეციურ ჭიკჭიკს მიმოაბნევდა და გარს უვლიდა იმ კოხტა ტაძარს, რომელსაც ლოცვით, ღვთივ სასოებით, ვუვლიდით მუდამ. კმაყოფილებით ავივსებოდი, ჩემს სიხარულსა საზღვარი აღარ ეპოვებოდა, რადგან იგი მთა იყო ყოველთვის თავისუფალი. მას ვერ სტანჯავდნენ მხეცნი, ნადირნი და მეც მის კეთილს, მის საყვარელსა მუდამ შემეძლო მევლო ბილიკად და ტაძარშიაც კრძალვით მელოცნა!

* * *

მაგრამ განვლო დრომ... იმ მთას მხეცებმა არ მოუსვენს. ნადირთ ბუნაგი იმ მთისადმი მძულვარებითა ავსებულიყო. გაიბნენ მთაში და დაერივნენ აყვავილებულ ჩირგვ-ბუჩქნარებსა: დააფრთხეს შაშვი. მათის წყალობით ბულბული ხევში გადაიჩეხა. მერცხალიც დაფრთხა, იგი ცის სივრცეს შორს შეუერთდა. აღარც ტაძარი დაინდეს იმათ. იქაც დაბუდნენ გველბაყაყები და ეხლა ნაცვლად ციურ გალობის, იქ გველი დაძრწის, მწარედ სისინებს. ნაცვლად ბულბულის სტვენა ყეფისა, ტაძარს ყორანი დასჩხავის ეხლა. იქ არ იწირვის ღვთისადმი მსხვერპლი, მსხვერპლი სიწმინდისა, რადგან ტაძარი გაცარცულია და აბვევია გარს ტყე უჩხი.

შორით ვუცქერი, ნაღვლიან ცრემლსა ვაფრქვევ თვალთაგან. ვკვნესი და ვტირი, რომ აღარ ძალ-მიძს ვიხსნა იგი მთა და ის ტაძარი მტრის კლანჭებიდან. თავისუფალი მსურს ვყო იგი, ვით წინად იყო, მაგრამ არ ძალ-მიძს და მიტომ ვტირი მწარე ცრემლებით... გულით, სულით-კი მე მუდამ ჟამსა მას ვუერთდები; ჯერ არ გამქრალა, კვალად, მიყვავის მე იმისდამი გულს სიყვარული

**ლადო გეგეჭკორი.**

# მოწერილი ამბები

**მიქელ-გაბრიელი** (გურია). მასიში მთავრობის მამასახლისი ბ-ნი კვირტია სოფ. ბასილეთში გადაიყვანეს და ბასილეთის მამასახლისი მემედ-ბეგ წულუკიძე ჩვენ გვესტუმრა. ბ-ნ კვირტიას ანგარიშების ჩაბარების დროს 300 მანეთზე მეტი დააკლდა (ამაში არ შედის ის 450 მანეთი, რომელზედაც ამას წინად გწერდი. („დროება“, № 90). ბ ნმა წულუკიძემ, სანამ კვირტია დაკლებულ ფულის გასამართლებელ საბუთებს არ წარმოადგენდა, უარი სთქვა ჯაჭვის მიღებაზე, რამაც დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ბოლოს საქმეში ბ-ნი ბოქაული ჩაერია და ყველაფერი მოაწესრიგა; წულუკიძემ ჩაიბარა ჯაჭვი იმ პირობით, რომ საქმის წარმოება ახალ წიგნებში დაეწყო. ძველი წიგნები კი დღესაც ბოქაულის კანცელარიაში აწყვია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დაკლებული ფული, ჩვეულებისამებრ, ნელ-ნელა დაფარება [?].

ბ-ნმა კვირტიამ სულ შეიდიოდე თვე იმსახურა ჩვენს საზოგადოებაში და უდიერ საქციელით იმდენად მოაბეზრა თავი სოფლელებს, რომ ახალ მამასახლისის დანიშვნას ყველანი სიხარულით მიეგებნენ. „ვინც გინდა ჩამოგვიყვანონ, ძმავ, კვირტიაზე უარესი ხომ აღარ იქნებაო“. გულუბრყვილოდ ამბობდნენ სოფლელები. ახალმა მამასახლისმა ჯაჭვის ჩაბარებისთანავე ამცნო სოფლელებს: „იცოდეთ, რომ კაცთან კაცი ვარ, დათვთან კი—დათვიო“ მაგრამ სოფლელები მალე დარწმუნდნენ, რომ ბ-ნი წულუკიძე კაცსაც დათვურად ექცეოდა. საქმე, აი, როგორ მოხდა: ბ-ნმა მამასახლისმა თან ჩამოიყვანა ერთი ცუდი უფუქცევის დედა-კაცი—ვიღაც გოგობერიძე, როგორც მალე აღმოჩნდა, ქ-ნ გოგობერიძეს ძალიან ჰყვარებია ბუნების წაღკოტზე სეირნობით თავის გართობა, მხოლოდ ამისათვის საჭირო იყო კარგი ცხენ-უნაგირი, რომელიც, საუბედუროდ მამასახლისს არ ჰყავდა. მამასახლისს წასვლა-წამოსვლისათვის ეძლევა მხოლოდ ერთი ცხენი. მოგეხსენებათ, რომ საყვარელ არსების გულის მოსაგებად სოფლის ბატონპატრონი მამასახლისი არაფერს შეუშინდება. და ბ-ნი წულუკიძეც შეუდგა კვლევა-ძიებას, თუ ვის ჰყავდა კარგი ცხენი. ძებნა დიდხანს არ დასჭირდა. სასოფლო სამმართველოს მახლობლად ცხოვრობს საკმაოდ შეძლებული სოფლელი ლევარსი ხომერიკი, რომელსაც ჩინებული ცხენი აღმოაჩნდა. მამასახლისმა რამდენჯერმე მოაყვანინა ეს ცხენი და საყვარელთან სეირნობით დასტკბა.

4 ივნისს სოფ. ხვარბეთის მამასახლისმა მიიწვია ბ ნი წულუკიძე ადგილობრივ სკოლაში ბავშვების გამოცდაზე დასასწრებლად. წულუკიძემ სტუმართ-მოყვარე ამხანაგს უარი ვერ უთხრა და გადასწყვიტა ეგზამენზე საყვარლის თანხლებით წასულიყო. ხვარბეთელ მასწავლებლებს თავი უნდა მოსწონდეთ, ასეთმა ეგზამენატორებმა რომ გააბედნიერეს... მაშინვე აფრინა კაცი ლ. ხომერიკთან სანქაროდ შეკაზმე ცხენი და გამომიგზავნეო. ხომერიკი ამ დროს ის იყო ფოთში წასასვლელად გამზადებულიყო. (ხიდი მიჰქონდა გასასყიდად.) და ცხენის თხოვნაზე უარი თქვა. მამასახლისმა რომ ეს გაიგო, სტრაჟნიკს უბრძანა, ძალად წამოეყვანათ ცხენი, რაც დაუყოვნებლივ შეასრულეს. შეურაცყოფილი ხომერიკი სანქაროდ ოზურგეთში წავიდა და მაზრის უფროსს შეატყობინა თავისი გაჭირვება. მაზრის უფროსმა მამასახლისს მოსწერა, ცხენი სანქაროდ პატრონს დაუბრუნე და შემდეგში ასე მოქცევა არ გაბედოთ. როცა მამასახლისი ეგზამენიდან დაბრუნდა და მოწერილობა ინახულა, ძალზე გაბრაზდა. სტრაჟნიკებს მოაყვანინა ხომერიკი, ცადეგ ოთახში შეიყვანა და შეუდგა ურჩ სოფლელის დასჯას. საბრალო სოფლელმა მათრახს ვერ გაუძლო და იატაკზე გაიშხლართა, მაგრამ მამასახლისი მაინც არ მოეშვა. ხომერიკი სცოდავად გმინავდა, თქვენი ღვთის გულისათვის ნუ მომკლავთ, შემიბრალეთო. შემთხვევით დასწრენი გულისფანცქალით შეჰყურებდნენ სოფლელის წამებას. ერთმა სტრაჟნიკმაც კი ვერ მოითმინა და სცადა მამასახლისი შეეჩერებინა, მაგრამ მამასახლისმა თავისი ერთგული მოსამსახურეც კინწის-კვრით ოთახიდან გამოაგდო. როდესაც მამასახლისმა ცემით გული მოიჯერა, სტრაჟნიკებს უბძანა, ხომერიკი ოთახიდან გაეყვანათ და სამმართველოს საკანში ჩაემწყვდიათ. სტრაჟნიკებმა თავ-ბირ დამტვრეული და გონება დაკარგული ხომერიკი აიყვანეს და საკანის იატაკზე დააგდეს, სადაც გათენებამდე დაჰყო. ხომერიკის ჭირისუფალნი მაზრის უფროსთან გაიქცნენ და დახმარება სთხოვეს. მაზრის უფროსმა მამასახლისი სანქაროდ დაიბარა და პასუხი მოსთხოვა. შემდეგ ინახულა ნაცემი ხომერიკი, რომელიც ურმით აიყვანეს ოზურგეთში და აღუთქვა, მამასახლისს სამართალში მივცემთ. ასე დასრულდა ახალ მამასახლისის პირველი გამოსვლა. ვნახოთ შემდეგში რა იქნება.

გუშინ მასიში დააპატიმრეს ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი ბ. ბოლქვაძე, რომელსაც კარგა ხანია ეძებდნენ. ბოლქვაძე გუბერნატორის განკარგულებით ამ დღეებში გაანთავისუფლეს.

9 ივნისს ბ-ნ მ. ნაკაშიძის ტყეში მუშა ა. ფაცაციას მოჭრილი ხე დაეცა და წუთისოფელს გამოასალმა. განსვენებული ცნობილი იყო როგორც პატიოსანი და შრომის მოყვარე ახალგაზრდა. ამ სიცოცხლით სავსე ყმაწვილის უდროოდ დაკარგვამ ყველანი დაამწუხრა.

**ადგილობრივი მეთვალყურე.**

# ოსმალეთი

**მომრიგებელი კომიტეტი.**

ახალგაზრდა ოსმალები აარსებენ მომრიგებელ კომიტეტს, რომელშიაც უნდა შევიდნენ მაკედონიაში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენელნი. კომიტეტს მიზნად ექნება ბალკანეთის სახელმწიფოთა შეერთება.

**მარშალი შევკეთ-ფაშა და ბერძნის პატრიარქი.**

ახალგაზრდა ოსმალთა გაზეთები ირწმუნებიან, რომ ბერძნის პატრიარქმა მეტად გაზვიადა შევკეთ-ფაშის სიტყვების მნიშვნელობაო. გენერალი მხოლოდ იმ ბერძნებს დაემუქრა, რომლებიც მაკედონიაში თარეშობენ, და არა ბერძენთა ყველა საზოგადოებას ოსმალეთშიო; მხოლოდ შეიარაღებულ რაზმელებს შეეხებოდა გენერლის სიტყვები: „გავსწყვეტ ბერძნებსაო“.

ბერძნის პატრიარქმა ამ ინციდენტის თაობაზე რუსეთის ელჩი ინახულა.

**ა ლ ბ ა ნ ი ა შ ი.**

ჯავიდ-ფაშამ თავის მედგარ მოქმედებით, ცოტა არ იყოს, ჰკუაზე მოიყვანა და დაამშვიდა ალბანია. მრისხანე სარდალმა ერთი მეტად მნიშვნელოვანი პოზიცია დაიჭირა ალბანიაში: მთის გასავალი ჩრდილოეთ ალბანიის მთებში, ქალ. დიაკოვოს ჩრდილოეთ-დასავლეთით. იქაური ალბანელები დამორჩილდნენ და გადასახადის [illegible] აღუთქვეს ჯავიდ-ფაშას.

ალბანელებმა [illegible] ადგილებში ქადაგებენ საყოველთაო აჯანყებას. სტამბოლში მყოფი ალბანელები ირწმუნებიან, რომ ალბანია მხოლოდ დროებით გაჩუმდაო. ჯავიდ-ფაშა ჯერ-ჯერობით დიაკოვოში დარჩა, რომ აჯანყება ხელახლად არ დაიწყოს.

# კრიტოსის საქმე

**სახელმწიფოების გადაწყვეტილება.**

მფარველმა სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს კუნძულ კრიტოსთან სამხედრო გემის მაგივრად დატოვონ ოთხი კრეისერი, რომლებსაც საჭიროების დროს შეეძლებათ 4 ათას ჯარისკაცის გადაყვანა ხმელეთზე ოსმალეთის ბაირაღის დასაცველად. ამას გარდა ამ ჯარმა სხვა სახელმწიფოებს უნდა დაუშალოს ჯარის გადაყვანა კრიტოსზე.

**„საბერძნეთი გაბედულად დაიწყებს ომს“.**

ვენიდან ატყობინებენ „რეჩ“-ს: მფარველმა სახელმწიფოებმა პროექტი შეადგინეს: კრიტოსზე დაარსონ ავტონომიური სახელმწიფო, წინანდელ აღმოსავლეთ რუმელიის მსგავსად. ეს ახალი სახელმწიფო იქნება ნაწილი საბერძნეთის სამეფოსი, ხოლო მაინც ისევ ოსმალეთის სულთნის უზენაეს ხელმწიფების ქვეშ დარჩება. საბერძნეთის მეფემ არ მოიწონა თურმე ეს პროექტი. მფარველ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა გააფრთხილეს მეფე: შეიძლება თქვენმა უარმა ომი გამოიწვიოს ოსმალეთთანაო. მეფემ გადაჭრით უპასუხა თურმე: საბერძნეთი გაბედულად დაიწყებს ომსაო.

**„ომი აუცილებელია“.**

რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში ლაპარაკობენ, რომ საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის აუცილებლად მოხდება ომიო.

ზოგიერთს დიპლომატს საჭიროდ მიაჩნია, რომ საბერძნეთისა და ოსმალეთის დავა საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს გადასაწყვეტად. მაგრამ ამ აზრს წინააღუდგა ოსმალეთის მთავრობა, რადგან მას უნდა, რომ კრიტოსი წინანდელ პირობებში დატოვონ. ზოგი დიპლომატი ჰფიქრობს, რომ სახელმწიფოებმა კრიტოსის საქმეზე უთუოდ უნდა მოახდინონ კონფერენცია, თორემ უამისოდ ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის აუცილებლად ომი მოხდებაო.

**სამზადისი მზადება.**

ქალ. ლონდონიდან ატყობინებენ „რეჩ“-ს „აქ მყოფ საბერძნეთის ქვეშევრდომებს სათადარიგო ჯარის კაცებს მოუვიდათ თავიანთ მთავრობისგან ბძანება, რომ ორი კვირის განმავლობაში გამოცხადდნენ ათინაში სამხედრო სამინისტროში. ლონდონში სულ 50-მდე სათადარიგო ბერძენი ჯარის-კაცი ითვლებაო“.

ოსმალეთის მთავრობაც ბეჯითად იჭერს ომის თადარიგს, მეტადრე საბერძნეთის საზღვარზე.

სალონიკის ვილაეთში ოსმალებმა დაატუსაღეს ბევრი ბერძენი. მრავალი ბერძენი იყრება მაკედონიიდან.

# სპარსეთის ამბები

**რუსის ჯარი აღარ გამოვა სპარსეთიდან.**

„რუს. სლოვო“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან:

„დიპლომატთა წრეები ძლიერ დააფიქრა სპარსელ რევოლიუციონერების გალაშქრებამ თეირანზე. ამ ჟამად პეტერბურგში მოლაპარაკებაა გამართული, რომ დროცაა და საჭიროცაა გენ. სნარსკის რაზმი თეირანში წავიდეს სპარსეთის მთავრობის დასახმარებლად, რადგან მარტო ყაზახთა ბრიგადა ვერას გახდება რევოლიუციონურ ჯართანაო. ყოველ შემთხვევაში, თუ რევოლიუციონური ჯარი თეირანს მიადგება, გენ. სნარსკის რაზმს აღარ გამოიყვანენ სპარსეთიდან, თუმცა წინად გადა-

წყვეტილი ჰქონდათ ამ ჯარის გამოყვანა.

**თეირანს ალყა შემოარტყეს.**

თეირანს ყველა მხრიდან უახლოვდებიან რევოლიუციონერთა რაზმები. 15 ივნისს კაზვინიდან თეირანზე გაილაშქრა ერთმა რაზმმა თითონ საპეხდარის უფროსობით. ისპაჰანიდან დაიძრნენ ბახტიარები სარდალ ასადის უფროსობით, ამ ჟამად ბახტიარების რაზმი იმყოფება თეირანიდან 138 ვერსტის მანძილზე. მაზანდერანიდან გაილაშქრეს თეირანზე რაზმებმა მოფაკამის უფროსობით. ამას გარდა თეირანისკენ მიდიან ადერბეიჯანის და გილანის რაზმები. რევოლიუციონერები ოთხი მხრიდან უახლოვდებიან თეირანს. პარიზიდან მოულოდნელად მივიდა სპარსეთში შაჰის ბიძა ზილისალტანე. თეირანის ბაზრებში ბევრს წითელ მატერიას ჰყიდიან ბაირაღებისთვის. რევოლიუციონური კომიტეტები გაძლიერებულ აგიტაციას ეწევიან. მინისტრი საად-დოულე სამსახურიდან გადადგა. მას აბრალებდნენ რუსების მომხრეობას და სთვლიდნენ გენ. სნარსკის რაზმის მოსვლის საბაბად. („ბ".)

გილანის რევოლიუციონერების მეთაურები ამიდ-ეს-სალთანე და სომეხი ეფრემი ამ ჟამად იმყოფებიან რეშტში. მათ მიემხრო უახსევნების მეთაური სარდალი მუსაფერი მთელის თავის ცხენოსან რაზმით. მცოდნე კაცები ჰფიქრობენ, რომ რევოლიუციონერები უთუოდ გაიმარჯვებენ, თუ რუსეთი არ ჩაერევა, და შაჰს მხარს არ დაუჭერსო („კ".)

**სამინისტროს კრიზისი.**

როგორც უკვე ვიცით, გარეშე საქმეთა მინისტრი საად-დოულე თანამდებობიდან გადადგა, ეგაა შაჰმა არ შეიწყნარა მისი თხოვნა. იუსტიციის მინისტრი მუშირ-დოულეც ძლიერაა შეშინებული, მასაც დამზადებული აქვს თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ. სამინისტროს კრიზისი გამოიწვია რუსის ჯარის ყოფნამ სპარსეთში. ამ რამდენისამე დღის წინ სპარსეთის სამინისტრომ ნოტით მოსთხოვა რუსეთის და ინგლისის მთავრობებს გენ. სნარსკის რაზმის გაყვანა თავრიზიდან, მაგრამ ჯერ პასუხი არ მიუღია. ამიტომ სამინისტროს ბედიც ამ პასუხზეა დამოკიდებული. თუ რუსეთი ჯარს არ გაიყვანს, მთელი სამინისტრო უთუოდ გადადგება სამსახურიდან.

**რად დანიშნეს სეპეხდარი თავრიზის გენერალ-გუბერნატორად.**

როგორც ვიცით, გილანის რევოლიუციონერების მეთაური სეპეხდარი თავრიზის გენერალ-გუბერნატორად დანიშნა სპარსეთის მთავრობამ. შინაგან საქმეთა მინისტრმა ფერმან-ფერმამ მისწერა სეპეხდარს:

„თავრიზის გენერალ-გუბერნატორად დაგნიშნეთ განსაკუთრებულ უმაღლესის მოსაზრებით. სანამ თქვენ თავრიზში მიხვალთ, იქაურ რუსის ჯარის ორი მესამედი უკვე გაყვანილი იქნება და იქაური საქმეები ჩვეულებრივ მიმდინარეობას მიიღებს. თქვენი და თავრიზის ენჯუმენის ყველა პირობას ვეთანხმებით".

რევოლიუციონერები დარწმუნებულნი არიან, რომ მთავრობას უნდა სეპეხდარი, როგორც საშიში კაცი, მოიშოროს რევოლიუციონურ კაზვინიდან, რომელიც უფრო ახლოა თეირანზე, და ამიტომ დანიშნა სეპეხდარი თავრიზის გენერალ-გუბერნატორადო.

**როდის მოხდება არჩევანი.**

ინგლისური გაზ. „ტაიმს"-ი იუწყება: მეჯლისის დეპუტატების არჩევანი სპარსეთში ამ დღეებში დაიწყება.

**ახმედ-რიზა—სპარსეთის მოსარჩლე.**

როგორც ვიცით, ოსმალეთის პარლამენტის თავმჯდომარე ახმედ-რიზა სპარსეთის ენჯუმენებმა ამოირჩიეს სპარსეთის ერისა და კონსტიტუციის მოსარჩლედ. ენჯუმენებმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს თურმე ახმედ-რიზას: „სპარსეთის რევოლიუციონურ ენჯუმენების საზოგადო კრებამ თქვენ აგირჩია სპარსეთის ერისა და კონსტიტუციის მოსარჩლედ. ამას იქით თქვენთვის მოგვინდვია ჩვენის კონსტიტუციის ბედი!"

დეპეშის წაკითხვის შემდეგ, ახმედ-რიზა ჩაფიქრებული და უთქვამს: „თანახმა ვარ ორსავ პარლამენტისა და კონსტიტუციის მოსარჩლე ვიყო, ეგაა მოვახერხებ ასეთ დიდ ნდობის გამართლებას"?

**ოსმალეთისა და რუსეთის ჯარი სპარსეთში.**

შიშობენ, ვაი თუ რუსეთისა და ოსმალეთის ჯარებს შეტაკება მოუვიდეთ სპარსეთშიო. როგორც ვიცით, ოსმალეთის ჯარმა ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში, ოსმალეთის საზღვარს ახლო, დაიჭირა ქალ. ურმია და, როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან, თანდათან აღმოსავლეთისკენ მოიწევს. რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენელთ შორის თეირანსა და თავრიზში ურთიერთობა გამწვავდა. გენ. სნარსკიმ ურმიაში გაგზავნა 150 ჯარის-კაცი და 2 ტყვიის მტყორცნელი. შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ამ რუს. ჯარის-კაცებს შეტაკება მოუვიდეს იმ ოსმალელ ჯარის-კაცებთან, რომლებიც ურმიაში იმყოფებიან.

**სომხების გადასახლება რუსეთში.**

სომხურ გაზ. „გორც"-ს ატყობინებენ ჯულფიდან: აქ მოვიდა 40 სომხის ოჯახი სალმასტიდან. ესენი აპირებენ რუსეთში გადასახლებას. ამბობენ, რომ კიდევ ბევრი სომხის ოჯახი გადმოსახლდება რუსეთშიო. სომხების გადმოსახლება—შედეგია სალმასტში მომხდარ დიდ არეულობისა.

# რუსეთი

✦ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" განყოფილების საჩივარი.** „ბაკუს" დეპეშით ატყობინებენ: „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" ქალაქ კერჩის განყოფილებამ უმაღლეს მთავრობასთან საჩივარი აღძრა ადგილობრივ გრადონაჩალნიკზე. განყოფილების წევრები გრადონაჩალნიკს უჩივიან, რომ მან უკანონოდ დაითხოვა პოლიცმეისტერიო." გრადონაჩალნიკმა პოლიცმეისტერი ქრთამების აღებისთვის დაითხოვა.

✦ **პოლიტიკურების ცემა.** „რეჩს" პსკოვიდან ატყობინებენ: „ადგილობრივ სატუსაღოში ადმინისტრაციამ უწყალოდ სცემა 16 პოლიტიკურ ტუსაღს. ეს პირველი ნაბიჯი არ არის- რომ პოლიტიკურებს სცემდნენ და მიუხედავად ამისა ყურადღებას არავინ აქცევს".

✦ **კოოპერატიული მოძრაობა სოფელში.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, ამ უკანასკნელ დროს სოფლებში ძალიან გავრცელებულა კოოპერატიული მოძრაობა. უმთავრესად აარსებენ წვრილი კრედიტის ამხანაგობებს. მარტო ტვერის გუბერნიაში ამ მოკლე ხანში 40 ასეთი საზოგადოება დაარსებულა.

✦ **„დრედნოუტები".** „რუსკ. ვედ."-ის სიტყვით პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, რომ ამ მოკლე ხანში შავ ზღვაზე რამდენიმე „დრედნოუტის" აგებას შეუდგებიანო. „დრედნოუტი" ინგლისური ჯავშნიანი გემია. ეს გემი უზარმაზარი რამ არის და მასზე დიდი გემი ჯერ-ჯერობით არავის აქვს.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ტამბოვში 2, ხარკოვში 1, ბაქოში 2, პეტერბურგში 2, ოდესაში 2, ვარშავაში 1, რიგაში 1, კამენც-პოდოლსკში 2 კაცს: სიკვდილით დასაჯეს: ვორონეჟში 2, კრასნოიარსკში 1, იურიევში 2, ოდესაში 1, კურსკში 1, კერჩში 2 კაცი.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** მალოროსიულ გაზეთ „რადა"-ს სიტყვით პოლტავის გუბერნიაში დიდი ჩხრეკაა. პოლიცია ბევრს ხალხს აპატიმრებს, უმთავრესად მუშებს და ინტელიგენციას.

✦ **საეკლესიო კრება და ზოგიერთი ეპისკოპოსები.** „მოსკოვ. ვედომ.". დაბეჭდილია წერილი ვოლოგდის ეპისკოპოსის ნიკონისა. აი რასა სწერს ეპისკოპოსი: „თქვენ („მოსკ. ვედ." რედაქტორი) ჰქადაგებთ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევას. გეთანხმებით, რომ მარტო საეკლესიო კრებას შეუძლიან იხსნას რუსეთი გაჭირვებიდან... მაგრამ ძვირფასო ლევ ნიკოლოზის ძევ! ნუ დაივიწყებთ, რომ რუსეთის ხსნა იმ საეკლესიო კრებას შეუძლიან, რომელშიაც მარტო ეპისკოპოსები მიიღებენ მონაწილეობას და არა ისეთს, როგორიც ეხლაა განზრახული. მე შიშის ჟრუანტელი მივლის ტანში, როდესაც ვფიქრობ, თუ ვინ იქნება მომავალ საეკლესიო კრებაზე საერო პირების და სამღვდელოების წარმომადგენლებად? ვინ იცის არ გამოცხადდებიან როზანოვები და მერეჟკოვსკები პეტერბურგიდან, მილიუკოვები და მაკლაკოვები მოსკოვიდან და სხვა? სად და რაშია იმის გარანტია, რომ ეს ასე არ მოხდება? .. აი რა მაწუხებს. ამჩნევთ თუ არა, როგორ ჩქარობს სახელმწიფო სათათბირო, რომ როგორმე ჩქარა მოაწყობს მრევლები? სჩანს, რომ მათაც უნდათ არეულ წყალში თევზი დაიჭირონ... სინოდი კი უთმობს და უთმობს... მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო, რომ საეკლესიო კრება არ შერყვნან ურწმუნოებმა, ლიბერალმა—განმათავისუფლებლებმა და სხვა ამისთანა ვაჟბატონებმა. საჭიროა, რომ საეკლესიო კრებაზე გამოცხადდნენ მარტო ეპისკოპოსები და ისეთი პირები წამოიყვანონ თან, რომლებიც მათ ნამდვილ ქრისტიანებად მიაჩნიათ". ამის შემდეგ ეპისკოპოსს მოჰყავს ვიღაც უცნობის წერილი. უცნობი ეპისკოპოსს სწერს, რომ ეპისკოპოსებმა რომ თავი გამოიდონ, მაშინ „მათ მილიონი ხალხი გაჰყვებათ და ერთ წუთს ალგვიან რუსეთიდან ურწმუნოებს". მშვენიერი ეპისკოპოსია, ქრისტეს მოძღვრების მიმდევარი! ასე გულახდილად „პოგრომების" ქადაგება?!.

# წერილი რედ. მიმართ

(ღია წერილი ბ-ნ დიმიტრი გიგინეიშვილს)

„ივერიის" მე-20 ნომერში თქვენი წერილის გამო მე პასუხი გავგზავნე იმავე გაზეთში დასაბეჭდად, რომელიც უსათუოდ მალე კიდეც დაიბეჭდება და საქმის ფაქტიურ მხარეს მოკლედ განმარტავს. მხოლოდ თქვენ წერილში, ზოგიერთ ალაგას, ჩემ პირადობას ეხებით. მე კი არა მგონია ჩემის მოქმედობით ამისი მიზეზი მომეცეს თქვენთვის. ამისათვის ვითხოვ თქვენგან, გამომყვეთ სამედიატორო სამართალში, რომელიც ახსნის ჩვენ სადაო საქმეში სიმართლეს და სიმტყუვნეს. მსაჯულებად ჩემის მხრით ვასახელებ ბ-ნთ იასონ თომას-ძეს ბაქრაძეს და გრიგოლ სპირიდონის-ძე ლორთქიფანიძეს; შეგიძლიანთ თქვენც დასთანხმდეთ ამათზე, თორემ სხვა პირები დაასახელეთ. გთხოვთ დროზე ინებოთ ამის პასუხი, რომ საქმე არ გაჭიანურდეს. გამტყუნებულმა ჩვენ შორის ბოდიში უნდა მოიხადოს. გადაწყვეტილება გაზეთში იქნეს გამოცხადებული.

**ივანე. ნიჟარაძე.**

—

31 მაისს გამართულის სეირნობიდან მუშტაიდში ქართველ ქალთა ამხანაგობის სკოლის სასარგებლოდ, შემოვიდა სულ 1130 მან. და 22 კაპ. ხარჯი იყო 535 მან. დარჩა სკოლის სასარგებლოდ 590 მან.

სკოლის გამგე კომიტეტი ღრმეს მადლობას უძღვნის ყველას, ვინც-კი სეირნობას ხელი შეუწყო შემოწირულობით, თუ პირადის შრომით და დახმარებით.

—

(ქვემო ქვიტირის აკაკის სახელობის წიგნთსაცავ-სამკითხველოს შესახებ)

გაზეთ „ჩვენი აზრის" 7 ივნისის ნომერში (№ 32) ვიღაც უსახელო კორრესპონდენტი, ასწერს რა ს. დაბლა (უნდა იყოს „ქვემო") ქვიტირში აკაკის სახელობის წიგნთსაცავ-სამკითხველოს გახსნას, გაკვირვებით კითხულობს: „მაგრამ ერთი ვერ გაგვიგია, რატომ მარტო „დროება" აქვს (გამგეობას) ქართულ გაზეთებში გამოწერილი და სხვა ქართული გაზეთები კი თვალითაც არ გვინახავს? ნუთუ „დროების" გარდა **სხვა მიმართულების** გაზეთების გაცნობა არაა საჭირო მკითხველისათვის?" ძალიან გაოცებულნი ვართ, რომ კორესპონდენტი საქმის ვითარების გაუგებრად ისე ბრალსა სდებს წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობას, ვითომ იგი პარტიულის მოსაზრებით მხოლოდ „დროებას" იწერდეს, სხვა მიმართულების გაზეთებს კი სამკითხველოში არ აჭაჭანებდეს! თუ ბ-ნი კორესპონდენტი, თავის კორესპონდენციის წერის დროს, საქმისადმი გულშემატკივრობითა და დახმარების სურვილით ხელმძღვანელობდა, უნდა მისულიყო გამგეობის რომელსამე წევრთან და კარგად გაეგო საქმის ვითარება. კორესპონდენტს უკვირს, რომ გამგეობას მარტო „დროება" აქვს გამოწერილი; ის კი არ იცის, რომ გამგეობას ჯერჯერობით, უსახსრობის გამო, არც „დროება" და არც სხვა რომელიმე მიმართულების გაზეთი არა აქვს გამოწერილი. მართლა, ამ ჟამად სამკითხველოს მოსდის „დროება" და „ივერია" (უკანასკნელი მხოლოდ მაისის დამლევიდან), მაგრამ ესენიც სხვის ხარჯითაა გამოწერილი, და არა სამკითხველოს საშუალებით. თუ თქვენ, ბ-ნო კორესპონდენტო, კეთილ ინებებთ და თქვენის ხარჯით გამოგვიწერთ იმ „სხვა მიმართულების" გაზეთებს, რომელიც სამკითხველოს არ მოსდის, დიდის მადლობითა და სიხარულით მივიღებთ თქვენს შემოწირულებას. განზე გადგომა და სხვისი კიცხვა და კილვა, რათქმა უნდა, ადვილია. გარწმუნებთ, გამგეობამ (რომელიც ერთი მიმართულების წევრთაგან არ შესდგება) თქვენზე უკეთ იცის, თუ რა აკლია, რა ესაჭიროება სამკითხველო-წიგნთსაცავს, მაგრამ ერთსა და ორს თვეში შეუძლებელია ყველაფრის შევსება. თუ საქმისადმი მართლა გული შეგტკივათ, მობრძანდით, რა მიმართულებისაც უნდა იყოთ, გვერდში ამოუდეგით გამგეობას და დაეხმარეთ როგორც ნივთიერად, ისე ზნეობრივად. თუ დახმარება არ შეგიძლიანთ, ნამდვილი ამბავი მაინც აცნობეთ გაზეთს.

გამგეობის თავმჯდომარე **დ. ავალიანი.**

# შემოწირულობა

**წერა-კითხვის საზოგადოების სამტრედიის განყოფილების სასარგებლოდ.**

ე. ბეკუჩავა—მანდალი 2 ც.; დ. კვანტალიანი—პირის საბანი საპონი 9 ც. და თმის ზეთი 2 შუშა, კ. გაბუნიაძე—რამა 2 ცალი., პატარა კალათები 4 ც. და ცხვირსახოცი 6 ც., ბ. მაისაია—ხილის ვაზა 3 ც., ბ. გაგავა—ყვავილის ვაზა 2 ც., ა. მამაგეიშვილის ასული—მოქარგული ბალიშის პირი 1 ც., მ. და ხტ. პრუედბორსკი—პატარა კუკლები ც., ბავშვის მუზიკა 1 ც. და ბავშვის კუბიკი 1 ც., ვ. დოლიძისა—ხელ-ნაკერი პირსახოცი 1 ც., ფულად შემოსწირეს სამტრედიის მეისრეებმა სულ—7 მ. 35 კ., მეხილეებმა—გ. მამიაშვილი—1 მ., ე. მღვრიშვილი 1 მ., ვ. კინწურაშვილი—50 კ., ლ. ქვათაძე—50 კ., ა სეთიძე—50 კ., გ. ლექავა—50 კ., ვ. მურალიშვილი—50 კ., გ. აკოფიანცი—50 კ., ვ. ჩიტოვკი—50 კ., ი. ჩხენკელი—50 კ., ი. ჩხენკელი—40 კ., ნ. ჯიბლაძე—30 კ., ი. შენგელია—30 კ., ა. ა. კრაგიაშვილი—30 კ., პ. ახლბაძე—20 კ., ხ. გეგეშიძე—70 კ., ე. მეგენეიშვილი—20 კ., მ. მ. ბუგიანიშვილი—1 მ., კ. მამიაშვილი—50 კ. და რკინის გზის მოსამსახურე ნ. გ. იმნაშვილი—1 მ.

სეირნობის გამგე **მ. ა. გლადკოვისა.**

განყოფილების თავმჯდომარე

**გ. მ. სიხარულიძე.**


**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანცისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**

(წ.—1—109)



# ბალი-რესტორანი

◀ ამხანაგობის ▶

# „იმედი"-სი

სახაზინო ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა სახაზინო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები" და „პრეისკურანტები". ღვინები ზომიერია.

телефонъ N 233. (50—გაყ.—9)



**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა.

(წლ.—ნ.—73)



# სიკვდილი გალღინჯოებს!

ახალი საშუალება „კლოპოვინი", რომელიც ...

თვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი" ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, პუშკინის ქუჩა, № 15 და აფთიაქის საწყობში კოჩინევისა, ვორონცოვის ძეგლთან. აფთიაქებს %. (15—ახ.—4)


პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა

# ნუ რყვნით ქალებს!..

ანუ

**„კაცობრიობის მტერნი"**

შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტიქტი და გონება.—მრუშის პსიხოლოგია.—გონს მოდით.

ფასი 65 კაპ.

„დროების" ხელის მომწერთ დაეთმობათ 50 კაპ. შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ტფილისის ქართველ ქალთა წრეს. დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადრესით: Петербургъ, Сергіевская, 51, ф. Каминской.


# გაფრთხილება

# დ. ზ. სარაჯიშვილისა

**კ ა ნ ტ ო რ ა ტ ფ ი ლ ი ს შ ი.**

ЗАВОДСКАЯ МАРКА

ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდათ **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ ბ-ნნი მომხმარებელნი.

ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიშვილი,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**

ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი",** და საქარხნო მარკას **„ჯიხვი კლდეზე".** (20—234—15)



◀ **კახელ მევენახეთა ამხანაგობა** ▶

# „ძ მ ო ბ ა"

ამით აცხადებს, რომ იმ ხელშეკრულების ძალით, რომელიც დადებულ იქნა მდგომარე წლის 4 ივნისს ნოტარიუს მიტკევიჩთან (ჩაწერილი რასტრით № 5560), თავ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ვაჩნაძე** ითვლება ამხანაგობიდან გასულად, რასაც ამხ—ბა აუწყებს ყველა იმათ, ვისაც ამხანაგობის საქმეებისა გამო რაიმე დამოკიდებულება აქვს ხსენებულ თავ. ნიკოლოზ ალ. ვაჩნაძესთან. (3—გაყ—1)



ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

# 1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ 1 მანეთიდან

# ● ხელის მაშინები 25 მანეთიდან ●

**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის პირდაპირ; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (15—გაყ.—15)

THE SINGER MANF. CO. TRADE MARK



# პროვოდნიკის

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. ПРОВОДНИКЪ РИГА Т. Ш.

1897 წ. 1888

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

1908 წ.

# ამხანაგობა

# რ ი გ ა შ ი

სადაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**● იყიდება ნაღდად და ცალობით: ●**

დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი** სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.

დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ ოფიცერთათვის;

დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;

**რეზინის ღრუბელი;**

**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;

# ცალობით ვაჭრობა ღედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი"-სა